

GC აღმანახი

№1 / იანვარი, 2020 წ.



სარჩევი

ნატო საქართველოს დაეხმარება ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესში	3
მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ უკრაინის საჩივარი წარმოებაში მიიღო.....	3
ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის მიერ წამების აკრძალვისა და თავისუფლების უფლების მორიგი დარღვევა დაადგინა.....	4
ევროკავშირმა ევროპული კომისიის 27 წევრი დაამტკიცა.....	5
თურქეთის ულტიმატუმი ნატოს	5
ადამიანის თავისუფლების ინდექსის 2019 წლის შედეგებში საქართველო რეგიონის ლიდერად რჩება	6
ხორვატია ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა	8
ევრობარომეტრი: ევროკავშირის მოქალაქეები მთავარ პრობლემად მიგრაციას მიიჩნევენ.....	9
საფრანგეთში საპენსიო რეფორმის წინააღმდეგ გამოსვლები კვლავ გრძელდება.....	11
ავღანეთი	12
„კავკაზ-2020“	14
ნატო-ს გენერალურმა მდივანმა შავი ზღვის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.....	15
ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადება ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.....	16

ბაჩო თორთლაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

ნატო საქართველოს დაეხმარება ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესში



[https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_171016.htm?selectedL](https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_171016.htm?selectedLocale=en)
[ocale=en](#)

2019 წლის 20 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების შესახებ ქართველი ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ, განაცხადა, რომ შავი ზღვის რეგიონი მნიშვნელოვანია ნატოსთვის. გენერალურმა მდივანმა გამოყო საქართველო და უკრაინა, როგორც ორგანიზაციის მნიშვნელოვანი პარტნიორი ქვეყნები და ისაუბრა

საქართველოს სანაპიროს დაცვის ძალებისა და უკრაინის საზღვაო ძალების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე. იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ნატო საქართველოს დაეხმარება ორგანიზაციაში გაწევრიანების პროცესში და ამ მიზნით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუტების მოდერნიზებას.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ უკრაინის საჩივარი წარმოებაში მიიღო

2019 წლის 8 ნოემბერს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ უკრაინის საჩივარი, საქმეზე - უკრაინა v რუსეთის ფედერაცია, არსებითი განხილვისთვის, წარმოებაში მიიღო. საჩივრით მოთხოვნილია რუსეთის ფედერაციისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება აღმოსავლეთ უკრაინაში ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის შესახებ საერთაშორისო კონვენციის, ხოლო ყირიმში რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დარღვევისთვის. სასამართლომ გაიზიარა უკრაინის ყველა შუამდგომლობა და დაადგინა, რომ ორივე კონვენციის დარღვევასთან დაკავშირებით მას გააჩნია საქმეზე განსჯადობა (საქმის არსებითად განხილვის უფლებამოსილება). განხილვის შემდგომ ეტაპზე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო იმსჯელებს რუსეთის ფედერაციის მხრიდან კონვენციების შესაძლო დარღვევის საკითხზე.



სასამართლომ, საკუთარი ისტორიის მანძილზე, მეორედ შეაფასა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის დარღვევის საფუძვლით- საქმის

დასაშვებობა. პირველი გადაწყვეტილება 2011 წლის 1 აპრილს გამოიცა საქმეზე- საქართველო v რუსეთის ფედერაცია, სადაც საქართველოს საჩივარი სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში არსებითი განხილვისთვის. სასამართლოს მიერ დადგენილი ახალი პრაქტიკა იმედის მომცემია საქართველოსთვის და რუსეთის წინააღმდეგ დავის განახლების ახალ შესაძლებლობებს ხსნის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის მიერ წამების აკრძალვისა და თავისუფლების უფლების მორიგი დარღვევა დაადგინა



<https://www.coe.int/en/web/tbilisi/europeancourtsofhumanrights>

2019 წლის 21 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, 17 მოსამართლის შემადგენლობით, გამოაცხადა გადაწყვეტილება საქმეზე ზ.ა. და სხვები v რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, სადაც მოსამართლეებმა ერთხმად დაადგინეს რუსეთის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პარაგრაფისა (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) და მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) დარღვევა. სასამართლომ განსაზღვრა, რომ თავშესაფრის მაძიებელი ერაცის, პალესტინის, სირიისა და სომალის

მოქალაქეების მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტში 5 დან 22 თვის ვადით გამოკეტვა და მათთვის გაუსაძლისი პირობების შექმნა კონვენციის ნორმების საწინააღმდეგოა. სასამართლომ გამოიკვლია, რომ 2015 დან 2017 წლამდე პერიოდში რუსეთის ფედერაციამ თავშესაფრის სტატუსის მაძიებელი 4 პირი აეროპორტის სატრანზიტო სივრცეში განათავსა და მათი საკითხის გადაწყვეტამდე აღნიშნულ პირები გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო გარემოში ამყოფა- საკვებსა და შხაპზე შეზღუდული წვდომის უფლებით. სასამართლომ ოთხივე პირის სასარგებლოდ რუსეთს კომპენსაციის სახით- 80 000 ევროს გადახდა დააკისრა.

ევროკავშირმა ევროპული კომისიის 27 წევრი დაამტკიცა



<https://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20191121IPR67111/parliament-elects-the-von-der-leyen-commission>

2019 წლის 27 ნოემბერს ევროკავშირის პარლამენტმა 461 ხმით 157-ის წინააღმდეგ, ნდობა გამოუცხადა ურსულა ფონ დერ ლეიენის მიერ წარდგენილ, 27 კომისრისგან შემდგარ გუნდს. აღნიშნული შემადგენლობით ევროპული კომისია 5 წლის მანდატით ჩაიბარებს ევროკავშირის აღმასრულებელ ხელისუფლებას. ევროპული კომისიის პრეზიდენტად ლეიენის გამწესებას ახლადარჩეულმა ევროპულმა პარლამენტმა მხარი ჯერ კიდევ ივლისში დაუჭირა. გერმანიის თავდაცვის ყოფილი მინისტრი გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა და ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენელია. ევროკავშირის კომისიის პრეზიდენტმა თავის

სიტყვაში ყურადღება გაამახვილა კომისიის მომავალ პრიორიტეტებზე და გამოყო კლიმატის ცვლილებების, ეკონომიკის გაციფრულებისა და საწარმოო ბაზების განვითარების მნიშვნელობა.

სწორედ ლეიენის თავდაცვის მინისტრობისას გაფორმდა გერმანიის ფედერალურ თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის შეთანხმება, საქართველოს ნატოში ინტეგრაციაში მხარდაჭერის შესახებ. ევროკომისიის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება საქართველოსთვის ახალი შესაძლებლობაა, რომ გააძლიეროს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესი და იფიქროს დამატებითი პრაქტიკული ინსტრუმენტების გამოყენებაზე.

თურქეთის ულტიმატუმი ნატოს

დოიჩე ველე ნატოს ოთხ უმაღლეს წყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ თურქეთი მხარს არ დაუჭერს პოლონეთისა და ბალტიის ქვეყნების თავდაცვით ინიციატივას, რუსეთისგან მომავალი საფრთხეების გამკლავების შესახებ, სანამ სამთავრობოთაშორისო სამხედრო ალიანსისგან არ მიიღებს მყარ პოლიტიკურ დახმარებას ჩრდილოეთ სირიაში ქურთული სამხედრო გაერთიანების წინააღმდეგ საბრძოლველად.



<https://www.dw.com/en/turkey-stalls-natos-russia-defense-plans-for-eastern-europe-over-syria/a-51434794>

ნატოში გადაწყვეტილების მისაღებად 29 წევრის მხარდაჭერაა საჭირო, ხოლო, თურქეთის უარი შეაფერხებს პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში სამხედრო, თავდაცვითი გეგმის განხორციელებას. აღნიშნულთან დაკავშირებით ნატოს სპიკერმა ოანა ლუნგესკუმ განაცხადა,

რომ ნატოს საკუთარი წევრების დასაცავად შესაბამისი გეგმა გააჩნია და რომ ქვეყნების თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის ძალისხმევა შეუქცევადია.


ადამიანის თავისუფლების ინდექსის 2019 წლის შედეგებში საქართველო რეგიონის ლიდერად რჩება

GEORGIA
CAUCASUS & CENTRAL ASIA




Personal Freedom

59/162 Ranking Score 7.53



Economic Freedom

12/162 Ranking Score 7.94



საერთაშორისო საჯარო პოლიტიკის კვლევითმა ორგანიზაცია CATO-მ ადამიანის თავისუფლების ინდექსის რიგით მეხუთე ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც საქართველომ 41-ე პოზიცია დაიკავა 162 ქვეყანას შორის და კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ლიდერის პოზიცია განიმტკიცა. ინდექსი პერსონალური და ეკონომიკური თავისუფლების გასაზომად 76 განსხვავებულ ინდიკატორს იყენებს შემდეგ მიმართულებებში:

- კანონის უზენაესობა
- უსაფრთხოება და დაცულობა
- გადაადგილება

- რელიგია
- ასოციაციები, გაერთიანებები და სამოქალაქო საზოგადოება
- გამოხატვა და ინფორმაცია
- იდენტობა და ურთიერთობები
- მთავრობის ზომა
- სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლება
- სტაბილურ ფინანსურ რესურსზე წვდომა
- საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება
- საკრედიტო, შრომითი და ბიზნეს რეგულაციები

2015 წლის შემდგომ საქართველომ ინდექსში 7 პოზიციით გაიუმჯობესა სარეიტინგო მაჩვენებელი. 2017 წლიდან ორგანიზაცია სრულყოფილ მონაცემებზე დაყრდნობით აფასებს ქვეყნების შედეგებს. შეფასების შკალაზე 0 დან 10-მდე 10 გულისხმობს მაქსიმალურ თავისუფლებას, ხოლო 0- აბსოლუტურ კონტროლს. 2015 წლიდან მოყოლებული საქართველოს პოზიციები უმჯობესდება და ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყანა სტაბილურად მე-40- 41-ე პოზიციებს იკავებს.

1977 წელს დაფუძნებული ორგანიზაცია კატო გამჭვირვალობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ყოველგვარი მიკერძოებულობის თავიდან ასარიდებლად ორგანიზაცია არ იღებს შემოსავლებს სახელმწიფოებისგან. დაფინანსების 80% მოდის ინდივიდების მიერ გადასახადს დაქვემდებარებულ ფინანსურ შენატანებზე, ხოლო 20%- საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული სახსრებია. კატო ყოველწლიურად აქვეყნებს საკუთარ ფინანსურ ანგარიშებს, სადაც ხელმისაწვდომია ინფორმაცია შემომწირველების შესახებ.

საქართველოს მიერ მიღებული მაჩვენებელი რეგიონალურ დონეზე უდავოდ პოზიტიური შედეგია. სასურველია, თუ მომდევნო წლებში საქართველო თავისი მონაცემებით გაუთანაბრდება პირველ ოცეულში შემავალ ქვეყნებს (ახალი ზელანდია, შვეიცარია, ჰონგ კონგი, კანადა, ავსტრალია, დანია, ლუქსემბურგი, ფინეთი, გერმანია, ირლანდია და ა.შ.).

ლიკა ჭიპაშვილი, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

ხორვატია ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა



მიმდინარე წლის 1 იანვარს ხორვატიის რესპუბლიკა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა. თავმჯდომარეობის ფუნქცია ხორვატიამ ფინეთისგან გადმოიბარა, რომელსაც მომავალი 6 თვის განმავლობაში - ამა წლის 30 ივნისამდე შეასრულებს. ხორვატიის რესპუბლიკა ევროპის კავშირს, ყველაზე ბოლოს, 2013 წელს შეუერთდა და ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მან ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსი მიიღო.

„ძლიერი ევროპა გამოწვევებით სავსე მსოფლიოში“ - სწორედ ეს გახლავთ სლოგანი ხორვატიის თავმჯდომარეობისა, რომლის პროგრამა¹ 4 პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავს: მდგრადი განვითარება, მათ შორის, გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლა; ერთიანი ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო პოლიტიკის განვითარება; შიდა უსაფრთხოების დაცვის გაძლიერება და საერთაშორისო ასპარეზზე ევროკავშირის, როგორც წამყვანი გეოპოლიტიკური აქტორის როლის გაზრდა.

ხორვატიას თავმჯდომარეობის პერიოდში მოუწევს ისეთ კომპლექსურ საკითხებთან გამკლავება, როგორცაა „ბრექსითი“, 2021-2027 წლების ბიუჯეტის განსაზღვრა ან თუნდაც, ევროკავშირის მომავალი გაფართოება, რომლის მიმართ წევრ სახელმწიფოებს შორის, ამ ეტაპზე, არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრანგეთის რესპუბლიკა, რომელიც ჩრდილოეთ მაკედონიასთან და ალბანეთთან გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყების წინააღმდეგ² გამოვიდა 2019 წლის ოქტომბერში. აღნიშნული საკითხის განხილვა დაგეგმილია მიმდინარე წლის 6-7 მაისის „ევროკავშირი-დასავლეთ ბალკანეთის“ სამიტზე,³ რომლის ფარგლებში ბალკანეთის სხვა ქვეყნებთან ერთად, ასევე ამ ორი ქვეყნის ევროპული მომავალი უნდა განისაზღვროს. აღნიშნულთან მიმართებით, ხორვატიის თავმჯდომარეობა დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ხორვატიის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ მეზობელი ქვეყნების ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანების ხელშეწყობაა.

თავად ხორვატიის რესპუბლიკა, სლოვენის შემდეგ, მეორეა ყოფილი იუგოსლავიის სახელმწიფოებს შორის, რომელიც ევროპის კავშირს შეუერთდა. ქვეყანა ევროინტეგრაციის გზას 2000-იან წლებში დაადგა და 13 წლის შემდეგ - 2013 წლის 1 ივლისს გახდა ევროკავშირის წევრი, თუმც, იგი ჯერ კიდევ არ არის ევრო ზონისა და შენგენის სივრცის წევრი ქვეყანა. აღსანიშნავია,

¹ ხორვატიის ევროკავშირის თავმჯდომარეობის პროგრამა: <https://eu2020.hr/Uploads/EUPDev/files/priorities-of-the-croatian-presidency.pdf>

² <https://www.la-croix.com/Monde/Europe/Le-non-dEmmanuel-Macron-lentree-lAlbanie-Macedoine-Nord-lUE-2019-10-19-1201055387>

³ <https://www.consilium.europa.eu/media/41429/hr-pres-2020-calendar-191122.pdf>

რომ ხორვატია ასევე გაწევრიანებულია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში 2009 წლიდან.

ხორვატიის, როგორც ევროკავშირის გაფართოების ღია მხარდამჭერი ქვეყნის, თავმჯდომარეობა მომავალი 6 თვის განმავლობაში დადებით ფაქტად შეგვიძლია მივიჩნიოთ ასევე საქართველოსთვის, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში. სწორედ მისი თავმჯდომარეობის პერიოდში - ამა წლის ივნისში გაიმართება „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მორიგი სამიტი, სადაც განისაზღვრება აღნიშნული პროექტის მომავალი, მათ შორის, შესაძლოა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრ სახელმწიფოებთან დიფერენცირებული ურთიერთობების დაწყება.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ეროვნული ინტერესიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საქართველომ მეტად განავითაროს ურთიერთობები ხორვატიის რესპუბლიკასთან, რომელიც დღეის მდგომარეობით, ნაკლებად აქტიურია. საქართველოს მსგავსად, ხორვატიამ დამოუკიდებლობა 1991 წელს აღიდგინა და სლოვენის შემდგომ, ყოფილი იუგოსლავიის სახელმწიფოებს შორის, მან განვითარების მნიშვნელოვან ნიშნულს მიაღწია. ქვეყნის ევროპის კავშირში მიღება შესაძლებელი გახდა განსაკუთრებით წარმატებული ინსტიტუციური რეფორმების გატარების შედეგად. გარდა აღნიშნულისა, მომსახურების სექტორი და ტურიზმი - ეს ის სფეროებია, სადაც საქართველოს შეუძლია გაიზიაროს ხორვატიული გამოცდილება. ამასთან, ხორვატია სწორედ ის სახელმწიფო გახლავთ, რომელმაც ევროკავშირში ბალკანეთის ქვეყნების ჯგუფური გაერთიანების ხედვას გაასწრო და პარამუტის გამომგონებელმა ქვეყანამ, ვერტიკალური სვლის ნაცვლად, საკუთარი ინდივიდუალური სვლით მოახერხა გაწევრიანება ევროპის კავშირში ან როგორც თავად ხორვატიელები აღნიშნავენ „დაბრუნება“ ევროპაში, რომლის ქრისტიანული ღირებულებების დასაცავად ხორვატმა ხალხმა ისტორიულად არაერთი ბრძოლა გამოიარა ოსმალეთის იმპერიისა თუ სხვა დამპყრობლის წინააღმდეგ.

ევრობარომეტრი: ევროკავშირის მოქალაქეები მთავარ პრობლემად მიგრაციას მიიჩნევენ

ევროპული კომისიის მიერ 2019 წლის 20 დეკემბერს გამოქვეყნებული ევრობარომეტრის⁴ საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად⁵, ევროკავშირს დადებითად ან სულ მცირე ნეიტრალურად აღიქვამს გამოკითხულთა 79%. ნდობის თვალსაზრისით კი, ევროკავშირის მოქალაქეები უფრო მაღალ ნიშნულს ანიჭებენ ევროპის კავშირს, ვიდრე საკუთარი ქვეყნების მთავრობებს ან პარლამენტს: გამოკითხული მოსახლეობის 43% უცხადებს ნდობას ევროკავშირს, საკუთარი ქვეყნების მთავრობებს 34%, ასევე 34% ენდობა მათი ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოს.

⁴ ევროპული კომისიის დაკვეთით, ევრობარომეტრის სტანდარტული კვლევა „საზოგადოებრივი აზრი ევროკავშირში“ წელიწადში 2-ჯერ ხორციელდება;

⁵ ევრობარომეტრის საზოგადოებრივი აზრის კვლევა, დეკემბერი 2019:

<https://ec.europa.eu/commfrontoffice/publicopinion/index.cfm/Survey/getSurveyDetail/instruments/STANDARD/surveyKy/225>

აღნიშნული კვლევის თანახმად, ევროკავშირის მოქალაქეები ევროპული გაერთიანების მთავარ პრობლემად მიგრაციას, შემდეგ კი კლიმატურ ცვლილებას და ეკონომიკურ სიტუაციას ასახელებენ. თუკი 2019 წლის გაზაფხულზე მიგრაციას ძირითად გამოწვევად ევროკავშირის 21 ქვეყანაში მიიჩნევდნენ, 2019 წლის დეკემბრის მონაცემებით, აღნიშნულ საკითხს ნომერ 1-ელ პრობლემად ასახელებენ ევროკავშირის წევრ 26 ქვეყანაში, მათ შორის, განსაკუთრებით მალტაში (66%), კვიპროსზე (60%) და სლოვენიაში (53%).

ამასთან, ყოველი 10 გამოკითხულიდან 7 ფიქრობს (68%) ფიქრობს, რომ საჭიროა ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვის შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის, მესაზღვრეთა რაოდენობის გაზრდა. აღნიშნულ მოსაზრებას განსაკუთრებით იზიარებენ გამოკითხული მოქალაქეები საბერძნეთიდან (91%), კვიპროსიდან (91%), ბულგარეთიდან (85%) და უნგრეთიდან (84%).

რაც შეეხება ევროკავშირის საერთაშორისო როლს და მის გავლენას მსოფლიოზე, გამოკითხული მოსახლეობის 70% მიიჩნევს, რომ გაერთიანებას შეუძლია გავლენის მოხდენა საერთაშორისო ასპარეზზე. საყურადღებოა, რომ 2019 წლის გაზაფხულის პერიოდთან შედარებით, მოცემული მაჩვენებელი 4%-ით არის შემცირებული.

აღსანიშნავია, რომ მიგრაციისა და ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვის გაძლიერების საკითხები პრიორიტეტულად არის დასახელებული ხორვატიის, როგორც ევროკავშირის ამჟამინდელი თავმჯდომარე ქვეყნის, პროგრამაში⁶. ყოვლისმომცველი და მდგრადი საიმიგრაციო პოლიტიკის ფარგლებში, მომავალი 6 თვის განმავლობაში, გათვალისწინებულია ევროპის კავშირის გარე საზღვრების კონტროლის გაძლიერება, მიგრაციის გარე და შიდა ასპექტებისადმი ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული მიდგომა, მათ შორის, ლეგალური მიგრაციისადმი, თავშესაფრის მაძიებელთა ერთიანი ევროპული სისტემის რეფორმა და თანამშრომლობის გაღრმავება ევროკავშირის იმ არაწევრ ქვეყნებთან, რომლებიც მდებარეობს მის სამხრეთით და აღმოსავლეთით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, ევროკავშირში საქართველოდან არალეგალური მიგრაციის ნაკადის შემცირების მიზნით, საქართველომ გააგრძელოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება, ასევე მეტად გააძლიეროს უკვე არსებული თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად.

⁶ ხორვატიის ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობის პროგრამა:

https://vlada.gov.hr/UserDocsImages/Vijesti/2019/12%20prosinac/31%20prosinca/web_FINAL_PROGRAMME_EN_FINAL.pdf

საფრანგეთში საპენსიო რეფორმის წინააღმდეგ გამოსვლები კვლავ გრძელდება



<https://allmedia.news/>

საფრანგეთის რესპუბლიკაში ბოლო 30 წლის განმავლობაში ყველაზე ხანგრძლივი საპროტესტო აქციები მიმდინარეობს. 2019 წლის 5 დეკემბრიდან დღემდე, მოქალაქეები საფრანგეთის მთავრობის მიერ დაანონსებულ საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ. მიუხედავად რესპუბლიკის მასშტაბით გამართული უწყვეტი საპროტესტო აქციებისა, ემანუელ მაკრონმა 2020 წლის ტრადიციულ საახალწლო მიმართვაში⁷ განაცხადა, რომ საპენსიო რეფორმას ბოლომდე განახორციელებს.

საფრანგეთის მთავრობის მიერ ინიცირებული საპენსიო რეფორმა მიზნად ისახავს ამჟამად არსებული 42 განსხვავებული საპენსიო სისტემის ერთიანი უნივერსალური სისტემით ჩანაცვლებას. ამასთან, დღეს არსებულ დიფერენცირებულ მიდგომასთან შედარებით, რეფორმა ითვალისწინებს, ქულათა სისტემის საფუძველზე, ყველა სამუშაო დღის დათვლას თანაბრად. ამ უკანასკნელის განხორციელების შემთხვევაში, გარკვეული პროფესიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ისინი ვეღარ ისარგებლებენ იმ პრივილეგიებით, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობის შედეგად დაიმსახურეს. დაანონსებული საპენსიო რეფორმა მხოლოდ 1963 წლის შემდეგ დაბადებულ მოქალაქეებს შეეხებათ და იგი ძალაში 2025 წლიდან შევა.

აღსანიშნავია, რომ საპენსიო რეფორმა ემანუელ მაკრონის წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი დანაპირებია. გარდა ამისა, ევროპული კომისიის მიერ საფრანგეთის მთავრობისთვის მიცემულ რეკომენდაციებს⁸ შორის საპენსიო სისტემის რეფორმირება მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. საფრანგეთში ამჟამად მოქმედი საპენსიო სისტემა მზარდი დეფიციტით ხასიათდება, ვინაიდან იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია - მასზე ქვეყნის შიდა პროდუქტის 14% იხარჯება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, საფრანგეთის მოსახლეობა განსაკუთრებით უკმაყოფილოა სახელმწიფო ხარჯების შემცირების სამთავრობო პოლიტიკით (74%)⁹.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ემანუელ მაკრონისთვის დაანონსებული საპენსიო რეფორმის ბოლომდე მიყვანა ევროპულ ასპარეზზე მისი პოზიციონირების გამყარებასაც უნდა ნიშნავდეს. ეს უკანასკნელი კი მას განსაკუთრებით ესაჭიროება ევროკავშირის საერთო თავდაცვის საკითხის ლობირებაში. ამ უკანასკნელს მაკრონმა ხაზი კიდევ ერთხელ გაუსვა თავის წინასაახალწლო

⁷ ემანუელ მაკრონის საახალწლო მიმართვა:

<https://www.elysee.fr/emmanuel-macron/2019/12/31/voeux-2020-aux-francais>

⁸ ევროკომისიის რეკომენდაციები საფრანგეთს 2019 წლის ქვეყნის რეფორმირების ეროვნულ პროგრამასთან დაკავშირებით, გვ. 5: https://ec.europa.eu/info/sites/info/files/file_import/2019-european-semester-country-specific-recommendation-commission-recommendation-france_fr.pdf

⁹ ELABE-ის კვლევა მაკრონის საპრეზიდენტო მანდატის პირველი ნახევრის შესახებ, გვ. 5:

<https://www.slideshare.net/contactElabe/elabe-pour-bfntv-mi-mandat-demmanuel-macron?ref=https://elabe.fr/mi-mandat-macron/>

მიმართვაში, 2020 წლის გეგმებზე საუბრისას. აღნიშნული საკითხი მაკრონისთვის სუვერენული ევროპის იდეასთან ასოცირდება, რომელსაც იგი საპრეზიდენტო მანდატის დაწყებიდანვე აქტიურად იცავს¹⁰.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო მანდატის პირველი ნახევრის დასასრულს, არც მეტი, არც ნაკლები, საფრანგეთში გამოკითხული მოსახლეობის 39% მიიჩნევს, რომ 2022 წელს, კანდიდატურის დაყენების შემთხვევაში, მაკრონი ისევ იქნება არჩეული პრეზიდენტად¹¹.

გიორგი ანთაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

ავღანეთი

11 დეკემბერს, ქაბულიდან ჩრდილოეთით 61 კმ-ში მდებარე ბაგრამის ავიაბაზის რაიონში თალიბებმა მორიგი თავდასხმა განახორციელეს.

ბაგრამის ბაზა ნატოს "მტკიცე მხარდაჭერის" მისიის უმთავრეს ლოჯისტიკურ საყრდენს წარმოადგენს და ამერიკული სარდლობის დაქვემდებარებაში საქართველოს თავდაცვის ძალების მე-12 ბატალიონის ერთ-ერთი უმთავრესი დანიშნულება, სწორედ, ამ ბაზის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა.



<https://www.nytimes.com/2019/12/09/world/asia/afghanistan-war-documents.html>

გავრცელებული ინფორმაციით, ადგილობრივი დროით დილის 6 საათზე ბაზასთან ახლოს ძლიერი აფეთქება მოხდა, რომლის ტალღამ, ძირითადად, ახლომდებარე საცხოვრებელი სახლები დააზიანა. აფეთქებას თალიბებისთვის ჩვეული ტაქტიკით ცეცხლის გახსნა მოჰყვა.

თალიბების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებნენ კოალიციური ძალების სამხედროები და ავღანელი სამართალდამცავები. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ცნობით სამხედროებმა თავდასხმისას მსუბუქი ჭრილობები მიიღეს, თუმცა ბრძოლას აგრძელებდნენ მე-12 ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები: კაპრალეები გოჩა მურადაშვილი, სოსო კვინიკაძე, რომან გიუნაშვილი,

¹⁰ საფრანგეთის პრეზიდენტის გამოსვლა სორბონას უნივერსიტეტში, 2017 წლის 26 სექტემბერი:

<https://www.elysee.fr/emmanuel-macron/2017/09/26/initiative-pour-l-europe-discours-d-emmanuel-macron-pour-une-europe-souveraine-unie-democratique>

¹¹ ELABE-ის კვლევა მაკრონის საპრეზიდენტო მანდატის პირველი ნახევრის შესახებ, გვ. 10:

<https://www.slideshare.net/contactElabe/elabe-pour-bfmtv-mi-mandat-demmanuel-macron?ref=https://elabe.fr/mi-mandat-macron/>

რიგითი ილია თაყაძე და უფროსი სერჟანტი დავით ბახურაული. აღსანიშნავია, რომ არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი სამხედროს ჰოსპიტალიზაცია საჭირო არ გამხდარა.

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაცია თავდასხმის შედეგად დაშავებულებისა და გარდაცვლილების რაოდენობის შესახებ განსხვავებულია და 70-დან 90 დაშვებულებამდე მერყეობს. გარდაცვლია რამდენიმე მშვიდობიანი მოქალაქე.

აღნიშნული თავდასხმა, აშშ გამოქვეყნებულ ანგარიშს მოჰყვა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ აშშ-ს ოფიციალური პირები ავღანეთში საომარი მოქმედებების შესახებ შედარებით ოპტიმისტურ განცხადებებს აკეთებდნენ, აგრეთვე, რომ აშშ-ს ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ, 18 წლიან საომარ მოქმედებებში გამარჯვება, ანგარიშის ავტორების მიხედვით, არარეალისტურია. გამოქვეყნებული დოკუმენტების თანახმად, აშშ-მ გადაიხადა მილიარდობით დოლარი ავღანეთის დემოკრატიისა და აღმშენებლობისათვის, თუმცა აქედან მომდინარე შედეგები ჯერ კიდევ ბუნდოვანია. პენტაგონის მხრიდან აღნიშნულ ფაქტს რეაგირება არ მოჰყოლია.

აღსანიშნავია, რომ აშშ-მ ცოტა ხნის წინ განაახლა სამშვიდობო მოლაპარაკებები თალიბანთან იმედით რომ თავდასხმები შეწყდებოდა.

ნოემბრის თვეში ავღანეთში პრეზიდენტ ტრამპის მოულოდნელი ვიზიტის დროს, აშშ-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აშშ-ს სამხედრო ძალები მანამდე დარჩებიან ავღანეთში, სანამ არ იქნება გადამწყვეტი მოლაპარაკება ან საბოლოო გამარჯვება მიღწეული.

ამ მომენტამდე, დაახლოებით, 13 000 ამერიკელი სამხედრო რჩება ავღანეთში თალიბანის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს ავღანეთის ცენტრალური ხელისუფლებისთვის.

2001 წლიდან მოყოლებული 775 000 ამერიკელმა სამხედრომ მიიღო მონაწილეობა ავღანეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მისიებში, ბევრმა მათგანმა რამდენჯერმე.

წყაროები:

At least two killed in Taliban suicide attack near US base

Afghan bomber hits medical facility near US base, 2 killed

Documents Reveal U.S. Officials Misled Public on War in Afghanistan

Washington Post: Government Study Shows US Officials Misled Public on Afghan War

„კავკაზ-2020“



ფოტო: რფ-ს თავდაცვის სამინისტრო

9 დეკემბრის რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური განცხადების მიხედვით, 2020 წლის სექტემბერში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალების სამხრეთ სამხედრო ოლქში იგეგმება სტრატეგიული სამეთაურო-საშტაბო სწავლების „კავკაზ-2020“-ის ჩატარება. აღნიშნული სწავლება წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების 2019/2020 სასწავლო წლის ძირითად საბრძოლო ღონისძიებას და მასში 17 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის პირველადი ინფორმაციით, ჩინეთი, ბელარუსი, ეგვიპტე,

პაკისტანი, ინდოეთი, სერბეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და სირია. რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს განცხადებით, წლის განმავლობაში სულ დაგეგმილია სხვადასხვა მასშტაბის 4800 სწავლება და 9 000-ზე მეტი პრაქტიკული მეცადინეობა.

უნდა აღინიშნოს, რომ შედარებისთვის „კავკაზ-2016“-ის ძირითად სცენარს წარმოადგენდა ყირიმის ნახევარკუნძულის დაცვა, თუმცა ბოლო პერიოდში აშშ/ნატოს-ს შავ ზღვაში გაზრდილი აქტიურობის ფონზე, რუსეთის ფედერაციამ დაიწყო უფრო ხისტი საპასუხო ზომების მიღება რეგიონში და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სწავლება პირველ რიგში შავ ზღვაზე არსებულ ვითარებას გამოეხმაურება. სამხედრო-ოპერატიული ხელოვნების ლოგიკა მოითხოვს ვივარაუდოთ, რომ დამუშავდება მტრულად განწყობილი სამხედრო საზღვაო ძალების შემოსვლის, გადაადგილებისა და მოქმედებებისა ბლოკირება-შეკავების სცენარები.

სავარაუდოა, რომ სწავლების სცენარის შინაარსი, მოსალოდნელი ჩატარების რაიონები და ძირითადი თემატიკა, ასევე, დამოკიდებული იქნება 2020 წლის აპრილ-მაისში რეგიონში დაგეგმილი აშშ/ნატოს ერთობლივი ფართომასშტაბიანი სწავლებების ხასიათზე „დამცველი-2020“ (defender -2020) და 2020 წლის სექტემბერისთვის შექმნილ საგარეო-პოლიტიკურ რეალობაზეც.

აქვე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ 2020 წლის სექტემბერში საქართველოში იგეგმება მრავალეროვანი სწავლების „ღირსეული პარტნიორი 2020“-ის ჩატარება. გამომდინარე აქედან მოსალოდნელია რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და მის მახლობლად არსებულ პოლიგონებზე მოხდება ძალის დემონსტრირება საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო კომპონენტებით. ჩატარდება საბატალიონო-ტაქტიკური და ორმხრივი საასეულო-ტაქტიკური სწავლებები სროლებით. სწავლებაზე, სავარაუდოდ, მიზიდული იქნებიან 49-ე და 58-ე საერთო საჯარისო არმიების დამატებითი ნაწილები და ასევე გამოყენებულ იქნება ე.წ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალები.

სწავლების ძირითადი მიზანი სავარაუდოდ უნდა იყოს სამხრეთ და სამხრეთ დასავლეთ მიმართულებებზე ჯარების თვითკმარი დაჯგუფების ფორმირება და მათი ბრძოლისუნარიანობის შემოწმება, ასევე სამხედრო და სამოქალაქო უწყებების

ურთიერთქმედების კოორდინაციის შემოწმება, ჯარების მართვისა და ლოგისტიკური უზრუნველყოფის მუშაობის ტესტირება.

სავარაუდოა რომ აქტიურად მოხდება სირიაში და რუსეთის ფედერაციის მიერ მსოფლიოს სხვა წერტილებში მიღებული საბრძოლო გამოცდილების ძირითადი ელემენტების ინტეგრირება.

მნიშვნელოვანია საქართველოს შესაბამისი უწყებები აქტიურად აკვირდებოდნენ სწავლების მიმდინარეობას და შინაარსს.

ხათუნა ბურკაძე, „ჯეოქეისი“-ს მკვლევარი

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა შავი ზღვის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება

2020 წლის 9 იანვარს ნატო-ს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა რუმინეთის პრემიერ-მინისტრთან ლუდოვიკ ორბანთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: "შავი ზღვა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ნატო-სთვის. ალიანსმა გაზარდა მისი წარმომადგენლობა შავი ზღვის რეგიონში როგორც ხმელეთზე, ისე ზღვაზე და ჰაერში საჰაერო პატრულირების განმტკიცებით, მეტი საზღვაო და სახმელეთო ძალების წარმომადგენლობით."



https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_172421.htm

ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ისაუბრა იმაზე, რომ ალიანსი აფასებს შავი ზღვის რეგიონში არსებულ ვითარებას, რათა საჭიროებების მიხედვით შემდგომ გააძლიეროს ორგანიზაციის წარმომადგენლობა რეგიონში. ამ კონტექსტში იენს სტოლტენბერგი ყურადღებას ამახვილებს, რომ შავი ზღვის სამი სანაპირო ქვეყანა: რუმინეთი, ბულგარეთი და თურქეთი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები არიან. ასევე, იგი დასძენს, რომ ნატო-ს რეგიონში ჰყავს ახლო პარტნიორები საქართველოსა და უკრაინის სახით, რომლებთანაც ალიანსი მჭიდროდ თანამშრომლობს, ეხმარება მათ და მათთან ერთად ახორციელებს წვრთნებს.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ის ახლახან ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ფარგლებში უკრაინაში იმყოფებოდა და მისთვის კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა უკრაინასთან თანამშრომლობის შედეგი უკრაინის საზღვაო შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით.

იენს სტოლტენბერგმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ შავ ზღვაში ყირიმის ანექსიის გამო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი იძულებული გახდა თავდაცვის კოლექტიური სისტემა გაემდიერებინა.

ნატო-ს გენერალური მდივნის მიერ პრესკონფერენციაზე გაკეთებული აქცენტებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსა და უკრაინის სტრატეგიული მნიშვნელობა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისთვის იზრდება, რაც კიდევ უფრო ხელშესახებს ხდის მათ შორის მჭიდრო თანამშროლობას. ალიანსს მართებულად ესმის ორივე ქვეყნის მნიშვნელობა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ევროპის ერთიანი უსაფრთხოების არქიტექტურის საბოლოოდ ფორმირება.

ნატო-ს გენერალური მდივნის განცხადება ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით



https://www.nato.int/cps/en/natohq/opinions_172346.htm

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომის ჩატარების შემდეგ, პრესკონფერენციაზე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ალიანსის მისიას ერაყში შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ალიანსი წვრთნის ერაყის ძალებს ერაყის მთავრობის მიწვევის საფუძველზე. ნატო-ს საწვრთნელი მისია მნიშვნელოვანია ორივე მხარისთვის, როგორც ერაყისთვის, ისევე ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის.

ასევე, იენს სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ ნატო მტკიცედ მხარს უჭერს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას. მან დასძინა, რომ წლებია ყველა მოკავშირე გამოხატავს თავის წუხილს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ირანის დესტაბილიზაციური მოქმედებების გამო.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მსგავსად ხაზი გაუსვა იმას, რომ ირანს არასოდეს არ უნდა ჰქონდეს ბირთვული იარაღი.

ამასთანავე, ნატო-ს აშფოთებს ირანის სარაკეტო სისტემის პროგრამა და მისი გამოცდა. ალიანსი ერთსულოვნად გმობს ირანის მიერ სხვადასხვა ტერორისტული ჯგუფის მხარდაჭერას.

ნატო-ს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრაზე მოკავშირეებმა დეესკალაციის აუცილებლობაზე ისაუბრეს. ახალი კონფლიქტი არავის ინტერესში არ უნდა იყოს.